ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13222376**

თარიღი:**25/08/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა და უფრაქციო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე მუხლის მე-2^3 პუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა და უფრაქციო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31.05.2022 წლის **№13.13221511** განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.№60ᵃ.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა და უფრაქციო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები

№	კომისიის დასახელება	კომისიის წევრთა რაოდენობა	ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკარატიული საქართველო“	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ფრაქცია „ახალციხე-საქართველოსთვის	უფრაქციო საკრებულოს წევრი
1	სამანდატო,საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია	17	10	3	2	2
2	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	17	10	3	2	2
3	მუნიციპალური ქონების მართვის,ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია	17	10	3	2	2
4	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	17	10	3	2	2
5	სოციალურ საკითხთა,კულტურის,განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია	17	10	3	2	2